



ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№1240

2016 წლის 04 ნოემბერი

ქ.ლაგოდები

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსი 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.გ“ ქვეპუნქტების, 122-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივნისი “მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ №57 განკარგულების შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. გადაეცეს დროებით სარგებლობაში - სასყიდლიანი იჯარის ფორმით, ერთი წლის ვადით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ლაგოდებში კოსტავას ქ.№1-ში მდებარე შენობის (ს/კ 54.01.54.235) მეორე სართულზე 12.8 კვ.მ ფართი, ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდს „სიკეთე ჩვენს ხელში“.

მუხლი 2. დაევალოს ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსს ნინო ბატიაშვილს, ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ქონების გადასაცემად ხელშეკრულების სამართლებრივი ფორმის მომზადება, მას შემდეგ რაც შესრულებული იქნება ბრძანების მეორე პუნქტი.

მუხლი 3. დაევალოს ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობის „ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის“ უფროსს გიორგი ჩალათაშვილს მხარესთან ხელშეკრულების გაფორმება და დადებულ ხელშეკრულებაზე კონტროლი.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია